№ 199

ოთხშაბათი, 13 სექტემბერი, 1900 წ.

გაზეთი ღირს:

| თვე | მ. | კ. | თვე | მ. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 6 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 7 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1900

# ივერია

№ 199

ოთხშაბათი, 13 სექტემბერი, 1900 წ.

რედაქცია: ნიკოლოოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.
„ივერიის“ ტელეფონი № 227.

## აბრეშუმის ქსოვილები

ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობისა.—ცხვირსახოცები, შარფები, თეთრი და ფერადი ქსოვილები ქალისა და კაცის ტანისამოსისათვის როგორც სარჩე, ისე სარჩულები. იყიდება ქუთაისში, წერეთლის წიგნის მაღაზიაში თოფობითა და ნაჭრობით.

(50—6.—20) მმარ. ამხ. ნ. წერეთელი

ვისაც რაიმე საქმე აქვს პარიჟის მსოფლიო გამოფენაზედ ნაწარმოებთა ანუ ბუნებით სიმდიდრის შესახებ ქართველთა მემამულეთაგანს, ვთხოვთ მიჰმართონ რაფაელ ისარლოვს, ქართველთა მემამულეთა წარმომადგენელს პარიჟის გამოფენაზედ.

Raphaël Isarloff Paris, rue des Fcoles, 40. (16—6.—15)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.

მ. ა. პოკროვსკი—შინაგანი, ბავშვებისა, (ყვავილის აცრა) და ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი 10—11 საათ.

ნ. ა. მულინი. ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათ.

ი. პ. ახალუშენიშვილი—კბილის სნეულებანი. 10—2-მდის.

ვ. გ. წერეთელი—შინაგანი და ბავშვებისა—11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი. $12^1/_2$—$1^1/_2$ საათ.

ა. ნ. შატილოვი—თვალისა 12—1 საათ.

ვ. ლ. მარკევიჩი, სიფილისტაქრო.—$12^1/_2$—$1^1/_2$ საათ. სამშაბათობით 3—4.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^1/_2$—2.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი მიხეილ გედევანიშვილი

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

გ. ა. ნავასარდიანი. 11—12 საათ. სიფილისტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ყ. მ. ჩიქოვანი. 9—10 სათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაგანასიანცი—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

ი. თ. პროტასევიჩი. 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულის ავადმყოფობისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. თ. პროტასევიჩი—5—6 საათამდე.

ა. ნ. შპაკოვსკი.—6—7 საათ. ნერვებით ავადმყოფთ (ელექტროტერაპ). და ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ.

გ. ა. ნავასარდიანი. $7^1/_2$—8 საათ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ო. ტ. არშანიტაკი—11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმის დანიშნვით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра Навасардіана.

Тифлисъ, противъ памятн. Вороцову.

## მოსწავლეთა მიღება

ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო

## სკოლაში

ამა წლის 22 სექტემბერს მოხდება. არის 10 ნახევარი სტიპენდია სახელმწიფო. მსურველთ წინდაწინვე უნდა შეიტანონ სკოლის გამგის სახელობაზედ თხოვნა და საბუთის ქაღალდები. (3—177—3)

## კბილის ექიმი

ა. გ. სოლოლაშვილი

იღებს ავადმყოფებს დილით 9-დგან 2 საათამდე და საღამოთი 5—7 საათამდე.

მიხეილის ქუჩა, № 32. (უ.)

## ახალი ამბავი

*** გუშინ, 12 სექტემბერს, ტფილისში ჩამოვიდა კავკასიის მთავარმართებელი თავ. გ. ს. გოლიცინი.

*** ხვალ, 14 სექტემბერს, განსაკუთრებული კომისია, რომელსაც დავალებული აქვს ნატახტარის წყაროების გამოკვლევა, სოფელ ნატახტარში მიდის ამ წყაროების საბოლოვოდ გამოსაკვლევად.

*** ნატახტარსა და ციხის-ძირში (დუშეთის მაზრაში) მოსულს სეტყვას ვენახები ძლიერ წაუხდენია, ამბობენ, მცხოვრებლებს 10,000 მან. მეტი ზარალი მოუვიდათო.

*** იმერეთის ეპისკოპოსი ყოვლად სამღვდელო ლეონიდი გუშინწინ, 11 სექტემბერს, ტფილისიდგან უკვე წაბრძანდა. ყოვლად სამღვდელო ლეონიდი შაბათამდის შიომღვიმის მონასტერში დაჰყოფს და ქუთაისში კვირას ჩავა.

*** „Daliy News“-ს ბერლინელ კორესპონდენტის სიტყვით, განზრახვა თურმე აქვთ რუსეთიდგან სპარსეთში რკინის გზის მეორე ლიანდაგი გაიყვანონ. ახალს ლიანდაგს ბაქოდგან წაიყვანენ, გაივლის ლენქორანსა და ასტრას და შემდეგ ენზელიდგან რეშტზედ თეირანში ჩავა. პირველი რუსეთ-სპარსეთის რკინის გზაკი განჯიდგან იქმნება გაყვანილი ერევანსა, ნახჩევანსა და თავრიზზედ.

*** ახალციხისა, ახალქალაქისა და ქვემო-მაჩხაანის პირველ დაწყებითის სასწავლებლებში სახელოსნო კლასსების ხარჯის დასაფარავად მომავალ 1901 წლისათვის მთავრო-

## ფელეტონი

### ბედნიერების წყალი

ამბავი რუდოლფ ბაუმბახისა

ეს მოხდა შუა ზაფხულს. მინდვრებში შუა დღის სიცხე დანავარდობდა, დრო-გამოშვებით მთებიდგან ნიავი დაჰბერავდა ხოლმე, რომელიც პურის თავთავებს ოდნავ არხევდა და თანაც გაპენტილ ხაშხაშის ყვავილების ფურცლებს ჰაერში ჰფანტავდა. შვრიის ყანაში კალიები ჰხმაურობდნენ, იქვე ძეძვის ბუჩქებში, გზის ნაპირას, წყნარად და ნაზად მოლაღური უსტვენდა.

დაოქროვებულ ყანებ შუა, რომლებიც მთის კალთებზედ იყო შეფენილი, ვიწრო ბილიკით მომავალი ახალგაზდა ქალი მოსჩანდა: ტანადი, წარმოსადეგი გლეხის ქალი. მას ნაოჭიანი კაბა ეცვა და თავზედ წითელი თავშალი ეხვია, რომელიც სიცხისაგან იფარავდა. მარჯვენა ხელით კალათა მიჰქონდა, მარცხენითკი—თიხის ჭურჭელი.

მოლაღურმა დაინახა თუ არა იგი, ალალ ტოტზედ შეფრინდა და დასძახა: „ახალგაზდა ქალო, ახალგაზდავ, რა მშვენიერი ხარო“! მაგრამ მოლაღური მოსტყუვდა. ხუჭუჭთმიანი გრეტა ახალგაზდა ქალი არ იყო, ის იყო ახალგაზდა ქმრიანი ქალი, რომელიც ტყეში მიდიოდა თავისს ქმართან, სადაც იგი შეშის მოსაჭრელად იყო წასული. ტყის ნაპირას მივიდა თუ არა, ლამაზი შეჩერდა და ერთ წამს ყური დაუგდო. მალე ცულის ხმა შემოესმა და იქითკენ გასწია. ჩქარა დაინახა ქმარი, რომელიც ღიმილით თავს უქნევდა და თანაც გულიანად ცულს ურახუნებდა ნაძვს.

— ცოტა ხანს შეჩერდი, მოიცადე! დაუძახა იმან: ხე ეხლავ წამოიქცევა.

ნაძვის ხე შეტოკდა, გვერდზედ გადაიწია და მიწაზედ ზღართანი მოსძვრა.

გრეტა თავისს ქმარს მიუახლოვდა და მზისაგან შერუჟულმა შეშის მჭრელმაც მაგრად მოხვია მას ხელები და გადაჰკოცნა. შემდეგ ხის კუნძზედ ჩამოსხდნენ და სამხრის ჭამას შეუდგნენ, რომელიც გრეტამ მოუტანა. უცბად განსმა პური იქით გადასდო და თავისს ცოლს უთხრა: „რაღაცა დამავიწყდა გასაკეთებელი“. მივიდა მოჭრილ ნაძვის ხესთან და ზედ სამი ჯვარი ამოსჭრა.

— განს, რისთვის ამოსჭერ ეგა? შეეკითხა ცოლი.

— ტყის ფერიებისთვის ამოვჭერ, უპასუხა ქმარმა: საწყლებს, მუდამ სდევნიან მონადირეები და ძაღლებს უსისინებენ. მაგრამ თუ როგორმე მოასწრეს ამგვარ ამოჭრილ ხეზედ შეხტომა, ჯვრების წყალობით ვეღარაფერს დააკლებენ.

ახალგაზდა ქალმა თვალები გააშტერა.

— განა ტყის ფერია გინახავს როდისმე? ცნობის მოყვარეობით შეეკითხა ცოლი.

— არა, ისინი იშვიათად ეჩვენებიან ადამიანს, მაგრამ ამ ჟამად მზე ზამთრისკენ ჰბრუნდება და შესაძლებელია ამ დროს მათი დანახვა.

შემდეგ ხმა-მაღლად დაიძახა:

— ტყის ფერიავ გამოჩნდი!

ასე იმიტომ მოიქცა, რომ ცოლს გამოხუმრებოდა; მაგრამ ასეთი გამოხუმრება ამ დღეს ტყეში სახუმრო არ იყო.

თვალის დახამხამებაზედ მათ წინ კოპწია, მორთული, ლამაზი ტყის ფერია გაჩნდა. მას გრძელი თეთრი ტანისამოსი ეცვა და ოქროსფერ თმაში შვინდის ტოტი ჰქონდა გარჭობილი.

განსი და გრეტა ძალიან შეშინდნენ; აჩქარებით ზეზედ წამოდგნენ; გრეტამ თავიც დაუკრა ფეხის გასმით, როგორც მოახერხა.

— თქვენ სწორედ კარგ დროს დამიძახეთ, უთხრა ტყის ფერიამ და თან ოქროს ფერ ახალ მთვარეზედ მიუთითა, რომელიც ზემოდგან თავზედ დასცქეროდათ: პატივის ცემისთვის-კი,—მოჭრილი ხე ანიშნა,—პატივსა გცემთ. ოქროს და ვერცხლის მოცემა არ შემიძლიან, რადგანაც მე თითონ არა მაქვს; მაგრამ სულ სხვა რამე მაქვს, უფრო უკეთესი, წამოდით ჩემთან, ცუდი არაფერი შეგემთხვევათ; წყლის ჭურჭელიც წამოიღეთ, გამოგადგებათ.

სთქვა თუ არა ეს, ბილიკს გაუდგა ტყეში; განსმა ცულს მოჰკიდა ხელი, გრეტამ წყლის ჭურჭელი აიღო და ორივენი გაჰყვნენ. სიარული ტყის ფერიისა იხვისას წააგავდა, გრეტამ ქმარს სახელო დასწია, თითით ანიშნა და ყურთან მიუახლოვდა, რომ საიდუმლოდ ეთქვა რამე. მაგრამ განსმა შეაჩერა და მნიშვნელობით პირზედ ხელი მიიფარა. ისე არაფერი სწყინთ მაგ საწყლებს, როგორც სიარულის დაცინვა. მაგათ იხვის ფეხები აქვთ და ამიტომაც იცვამენ გრძელ ტანისამოსსაო.

მალე ტყის შუაგულ გაშლილ ადგილს მიუახლოვდნენ, რომლის გარშემო ალყასავით ასის წლის ხეებით იყო შემოზღუდული; ბალახებიდგან ია და ნარგიზი გამოსჩანდნენ, რომლებზედაც პეპლები დანავარდობდნენ.

განსს, რომელსაც ეგონა ტყის ყოველი კუნჭული კარგად ვიციო, ვერ წარმოედგინა, თუ იგი როდისმე ყოფილიყო ამ ადგილს.

პატარა ტბის ნაპირას გამარტოებული ქოხი იდგა, რომლის კედლებიც ხის ქერქით იყო შემოსილი, სახურავი ნაძვის ხიჭვების ქერქისაგან იყო დახურული და ყოველი ქერქი ვარდისფერ ეკლით დამაგრებული. აქა სცხოვრობდა ტყის ფერია. სტუმრები სახლის იქითა მხარეს გადიყვანა და წყარო უჩვენა, რომელიც მიწიდგან საიდუმლოდ ამოჩუხჩუხებდა. გარშემო სუნნელოვანი ყვავილ-ბალახები ჰხარობდნენ და სარკესავით კამკამა წყაროზედ ფერადოვანი კალიები დახტოდნენ.

— ეს არის ბედნიერების წყალი, უთხრა ტყის ფერიამ: ვინც ამაში ჩაიყურყუმელავებს, მოხუცებული გაყმაწვილდება. ვინც ამ წყალს დალევს, სამუდამოდ ახალგაზდად დარჩება. წყალი ჭურჭლით შეგიძლიანთ წაიღოთ. მაგრამ დიდი გაფრთხილება გმართებთ: თითო კვირას თითო წვეთის მეტი არ უნდა ჩაჰყლაპოთ და ეს სრულიად საკმარია, რომ ახალგაზდობა შეინარჩუნოთ. აი კიდევ რა უნდა გითხრათ: განს, როგორც-კი სხვა ქალს შეხედავ, ან შენ, გრეტა, კაცს, წყალი იმავ წუთს თავისს ძალას დაჰკარგავს. ეს კარგად დაიხსომეთ. აბა ჭურჭლით ამოიღეთ ეხლა წყალი და მშვიდობით იყავით. ტყის ფერიამ მადლობის გადახდას თავი მოარიდა და აჩქარებით გასწია თავისს ქოხისაკენ. განსმა და გრეტამ წყლის ჭურჭელი გაავსეს და წამოვიდნენ, როდესაც სახლში დაბრუნდნენ, განსმა ბოთლში გადაასხა წყალი, ბოთლს მაგრად დაუცო და ზემოდგან გაჰდღფისა.

— ჯერ-ჯერობით, სთქვა იმან:

...ას 3,000 მან. კრედიტი გაუხსნია.

*** როგორც დეპეშით აუწყებენ „ნოვ. ობოზრ.“-ეს, 6 სექტემბერს ბათუმიდგან წასული გემი პაკესი „Georgie“ 10 სექტემბერს მარმარილოს ზღვაში (мраморное море) სხვა გემს დასჯახებია და დაუძირავს. მგზავრები და გემის მსახურნი გადარჩნენ თურმე.

*** როგორც „ცნობის ფურცელს“ ატყობინებენ, ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექციას წელს კიდევ თურმე მიუმატეს სახალხო სკოლების ინსპექტორის ორი ადგილი, რომელზედაც უკვე დანიშნულნი არიან: ბ-ნი სუდაკოვი, გორის სემინარიის მასწავლებელი და ბ-ნი იზმაილოვი, ქ. ეკატერინოდარის სამოქალაქო სასწავლებლის ინსპექტორი; ბ-ნ სუდაკოვის ზედამხედველობაში იქნება სენაკის მაზრის და ბათუმისა და ართვინის ოლქების სკოლები. სუდაკოვი იცხოვრებს ქ. ფოთში. ბ-ნ იზმაილოვისა—ზუგდიდის მაზრისა და სოხუმის ოლქის სკოლები. საცხოვრებლად ბ-ნი იზმაილოვი აირჩევს ქ. სოხუმს. ძველს ინსპექტორებს ბ.ბ. სავიჩსა და ნოვოსპასსკის დარჩება ხუთი მაზრა: პ. ი. სავიჩს—ქუთაისისა და ოზურგეთის მაზრების სკოლები და ნ. ვ. ნოვოსპასსკის—შორაპნისა, რაჭისა და ლეჩხუმის მაზრის სკოლები.

*** კუხის მეაბრეშუმეთა ამხანაგობის წესდება ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს კავკასიის მთავარ-მართებლისათვის წარუდგენია დასამტკიცებლად.

*** მიწად-მოქმედების სამინისტრომ კავკასიის საბაღოსნო საზოგადოების განყოფილებას 500 მანეთი გამოუგზავნა სხვა-და-სხვა ხილეულობის კოლლექციის შესადგენად პარიჟის გამოფენისათვის. ხსენებული საზოგადოება უკვე შეუდგა კოლლექციის შედგენას.

*** მეაბრეშუმეთა და აბრეშუმის მრეწველთა მომავალ კრების თავმჯდომარედ ამოურჩევიათ მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა რწმუნებულის თანაშემწე თ. ა. შიმანოვსკი და მის თანაშემწედ ვ. პ. ივანოვი. ხოლო კრების მდივნად დანიშნულ იქმნა უფროსი მეაბრეშუმე ი. გ. ქუთათელაძე. ყველა ესენი საბაღოსნო საზოგადოების განყოფილებამ მიწად-მოქმედების მინისტრს წარუდგინა დასამტკიცებლად.

*** ტფილისის საბაღოსნო სკოლის უფროს კლასების მოწაფენი, სკოლის გამგის პრიტულენკოს ხელმძღვანელობით, კახეთში აპირებენ ფეხით მოგზაურობას. ეკსკურსანტები ჯერ თელავის მაზრაში მიდიან; იქიდგან გადავლენ სიღნაღის მაზრაში და აქედგან ტფილისში დაბრუნდებიან. ორსავე მაზრაში მოწაფენი დაათვალიერებენ საუფლისწულო მამულებსა და საყურადღებო კერძო მამულებსაც.

*** გზათა სამინისტრომ საბოლოოდ გარდასწყვიტა სამგზავრო მატარებლები ელექტრონით გაანათოს.

*** როგორც ბათუმიდგანა გვწერენ, ბაღოსნობის ნაწარმოების გამოფენა 25 დაიწყება და გასტანს 30 სექტემბრამდე. გამოფენის კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშნულია ქუთაისის გუბერნატორი გ.-მ. თ. კ. გერშელმანი და გამოფენის ბიუროს თავმჯდომარედ ვიცე-ადმირალი ა. ი. გრევე. როგორცა ჰსჩანს, გამოფენა მეტად საინტერესო იქმნება, რადგანაც ძლიერ ბევრმა დაწესებულებამა და კერძო პირმა განაცხადა სურვილი მონაწილეობის მიღებისა. ყოველ ოლქისათვის და მაზრისათვის ცალკ-ცალკე ფარდულები იქმნება გამართული ქალაქის ბულვარზედ.

*** რუსეთის რკინის გზების უფროსთა კრებაზედ განხილულ იქმნა საკითხი იმის შესახებ, თუ რა საშუალებით უნდა იქმნას გაუმჯობესებული რკინის გზებზედ მსახურთა და წვრილ მოხელეთა მდგომარეობა. კრებამ გარდასწყვიტა, რომ ჯამაგირები მოემატოს რკინის გზის იმ მოხელეთ, რომელთაც სამ წელიწადზედ მეტი უმსახურნიათ რკინის გზაზედ.

## ქალაქის საბჭო

11 სექტემბერი

საქმეების განხილვამდე საბჭომ ქალაქის მოურავის წინადადების თანახმად პატივი სცა ფეხზედ ადგომით საბჭოს ყოფილს ხმოსანს ახლად გარდაცვალებულის გენერალ-ლეიტენანტის კ. ქ. მამაცაშვილის ხსოვნას და აგრეთვე დაავალა ქალაქის გამგეობას, რომ საბჭოს მხრით სამძიმარი გამოუცხადოს გ. მამაცაშვილის ოჯახს. შემდეგ საბჭო შეუდგა განსაკუთრებულ კომისიის დადგენილების განხილვას განსვენებულის ნ. გ. ზუბალაშვილის ანდერძის შესახებ. კომისიას, განუხილავს რა მთელი ამ საქმის შესახები მასალა, დაუდგენია: შეტანილ იქმნას თანახმად ანდერძისა, დატოვებულ 284,861 მ. 72 კაპეიკიდგან 200,000 მ. ბანკში, როგორც საუკუნოდ ხელ უხლებელი თანხა, ხოლო დანარჩენით მოწყობილ იქმნას შეუძლებელთა თავშესაფარისათვის განსვენებულის მიერ ნაანდერძევი სახლი. ამ თავშესაფარში უნდა გაიმართოს 60 საწოლი ქალაქში მცხოვრებ ღარიბ და უპატრონო მცხოვრებ მოხუცთათვის.

გამგეობას განუხილავს კომისიის დადგენილება და გარდაუწყვეტია წარუდგინოს იგი საბჭოს განსახილველად; ამასთანავე გამგეობამ საბჭოს წარუდგინა თავისი მოხსენება იმის შესახებ, რომ ვიდრე არ შემუშავდება წესი ღარიბთა სადგომისა, მანამდე შეჩერებულ იქმნეს კომისიის გარდაწყვეტილების სისრულეში მოყვანა. ამ საგანმა ხმოსანთა შორის დიდი კამათი გამოიწვია. ხმოსანთა უმრავლესობამ ის აზრი გამოსთქვა, რომ ჯერ საუკეთესო იქმნება შემუშავდეს გეგმა შენობისა და წესი ღარიბთა სადგომ სახლისა, რადგანაც, როგორც გამოითქვა, შეუძლებელია განსვენებულ ზუბალაშვილის მიერ ნაანდერძევ სახლის დაუნგრევლად მოწყობა ისე რომ იგი აღნიშნულ საგნისათვის გამოდგეს. ხანგრძლივის კამათის შემდეგ საბჭომ დაადგინა: სთხოვოს კომისიას შეიმუშაოს წესდება ანდერძისამებრ ღარიბთა საცხოვრებელ სახლისათვის და გამოარკვიოს, შეიძლება თუ არა ეხლანდელი შენობა ისე შეკეთდეს, რომ საკმარისი იქმნეს ღარიბთა სადგომისათვის, ხოლო თუ ეს არ შეიძლება, შეადგინოს ხარჯთ-აღრიცხვა ახალის შენობის ასაგებად. შემდეგ საბჭომ, ქალაქის გამგეობის დადგენილებისა თანახმად, გადასდო 1200 მან. ქალაქის სამკურნალოსათვის და დაუნიშნა 20 მან. თვეში პენსიად 35 წლის სამსახურისათვის ქალაქის პოლიციის ყოფილს დარაჯს პაგურსკის. საბჭო შეუდგა აგრეთვე განხილვას ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელის მოწერილობისას, რომლითაც ეცნობა საბჭოს, რომ მთავრობამ მისი შუამდგომლობა საავადმყოფო გარდასახადის შესახებ უყურადღებოდ დასტოვა. დასასრულ საბჭომ ზოგიერთი წვრიმალ საქმეების განხილვის შემდეგ გარდასწყვიტა: გადასდოს 450 მანეთი ქალაქის კასიდგან საკლავ საქონლის ასაწონად საჭირო სასწორის შესაძენად.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**სოფ. აცანა** (გურია). კვირას, 13 აგვისტოს, აცანის სოფლის ყრილობაზედ უნდა გასყიდულიყო საჯარო ვაჭრობით ერთი ხის შენობა. ამ შენობაში გახლდათ მოთავსებული ერთ-კლასიანი სამინისტრო სასწავლებელი, რომელიც დიდის-ვაი-ვაგლახითა და დავი-დარაბით ძლივს ორ-კლასიანად გადაკეთდა; ამის შემდეგ, რასაკვირველია, ეს შენობა უვარგისი გამოდგა და სკოლისთვის სხვა ქვის შენობა ააგეს. იმდენი ტანჯვა-წვალება თქვენს მტერსა და დამწყევარს, რამდენიც უბედურს ამ შენობას დაადგა. ყველამ ეზოში მოინდომა: ერთი ქვევით ეწეოდა, მეორე ზემოთ. შესდგა რადაც დასი ჩამოვიდა სკოლების ინსპექტორი და საუკეთესო ადგილად მთელ საზოგადოებაში ისევ ძველი ადგილი იცნო და კიდევაც იქ იქმნა აგებული სკოლის შენობა. ამ თვეებში ეს შენობა დასრულდა კიდეც და სკოლაც იქ, ახალ შენობაში, გადავიდა და ეს ძველი შენობა-კი საჯარო ვაჭრობით უნდა გასყიდულიყო, რომელსაც მთელი აცანის საზოგადოება დაესწრო და მათ შორის ბლ. მღ. სილ. ჩხაიძეც. ჩხაიძემ აუხსნა საზოგადოებას, თუ რა მნიშვნელობა აქვს დედათა სკოლას, რა ნაყოფის მოტანა შეუძლიან ამ სკოლას, როგორ დაქვეითებულნი არიან ჩვენი ქალები გონებრივად და რომ უნუგეშობას ცოტად თუ ბევრად ბოლო მოეღოს, ეს გასასყიდად დანიშნული შენობა დავუთმოთ დედათა სკოლას და მე ვიშუამდგომლებ სასულიერო მთავრობასთან, რომ მასწავლებელი ხაზინის ჯამაგირით მოგვივიდესო. ეს შენობა-კი რომ დღეს გაიყიდოს, თვითოეულს ორ-ორი აბაზი არ შეხვდება და არავის არაფრად არგებს, სკოლა-კი დიდად დაგვეხმარება და საშუალებას მოგვცემს ჩვენს ქალებს ვასწავლოთო. თუ მოისურვებთ, საქმეს ხელი მოვკიდოთ და დღესვე მივცეთ საფუძველი განაჩენის დადგენითაო. ამ წინადადებაზედ შეგნებულმა ნაწილმა საზოგადოებისამ დიდის სიხარულით თანხმობა განაცხადა, მაგრამ დახეთ უბედურებას, გამოსტა ვიღაც ა-ს ჩ—ძე და თავ-გატეხილივით მორთო დრიალი: ღმერთო მომკალი, რად მინდა ქალის სწავლა; ჭადის ცხობას დედა მისიც-კი ასწავლის და სხვა სწავლა ვინ გეიგონა ქალისო. ამას შეუხმატკბილა გ—ო თ—ძემ და შესძახა მრისხანედ: ვის რა უფლება აქვს მე სკოლა გამაკეთებინოს,

---

საჭირო არ არის ამ წყლის სმა. ჯერ შევინახოთ, როდესაც ამის დრო დადგება, მაშინ მოვხადოთ თავი. შემდეგ ბოთლი რაფაზედ შესდგა, სადაც მათი ძვირფასი რამეები ელაგა: ორი ძველი ფული, ერთი ასხმა ფერადი სხვა-და-სხვა მძივები ოქროს ფიფინურით და ორი ვერცხლის კოვზი.

— აბა, გრეტა, უნდა ვეცადნეთ, რომ წყალმა თავისი ძალა არ დაჰკარგოს.

მერე რა ნაირად სცდილობდნენ! როდესაც ახალგაზდა ტყის მცველი იმათ ბაღის ახლოს გაივლიდა, ჩვეულებრივ, გრეტას თავს დაუკრავდა ხოლმე, ისიც სამაგიეროს უხდიდა, თუმცა თავს მაღლა არ იღებდა; როდესაც განსი ლუდხანაში შედიოდა და ცუგრუმელა ლიზა სასმელს მიართმევდა ხოლმე, განს ამ დროს ისეთი შეხედულობა ეძლეოდა, როგორც აბუზულ კატას. შემდეგ სრულიად მიატოვა იქ სიარული და სახლში ატარებდა ცოლთან დროს. რასაკვირველია, რომ წყალმა თავის ძალა შეინარჩუნა.

ასე გაატარეს ცოლ-ქმარმა წელიწადი სიყვარულით და თანხმობით; იმათ მესამეც მიემატათ, აკვანში ცელქობდა პატარა ბავშვი, და ისე ღუღუნებდა, რომ მამას სიცილი აუტყდება ხოლმე ყოველ მის დანახვაზედ.

— ეხლა, უთხრა იმან,—დროა ბოთლი გავხსნათ.

გრეტა, შენ რას იტყვი? ჩემის ფიქრით, კარგი იქმნება, რომ დავიწყოთ თითო წვეთის ჩაყლაპვა.

ცოლი დაეთანხმა და განსი იმ წამს ოთახისკენ წავიდა, სადაც ძვირფასი სასმელი ეგულებოდა, აკანკალებულის ხელებით ბოთლი გახსნა, მაგრამ—ოჰ, ზენაარო!—ბოთლი ხელიდგან გაუვარდა და რაც შიგ იდგა იატაკზედ დაიღვარა. ისე შეეშინდა, რომ ცოტას დარჩა არ წაიქცა. ეხლა რა ეშველებოდა? გრეტამ, ყოველ შემთხვევაში, არ უნდა გაიგოს ეს ამბავი, რაგანაც შესაძლებელია შიშით რაიმე დაემართოს. იგი შემდეგ გაუმხელს, როცა ამ გაჭირვებას თავიდგან აიცდენს. შესაძლებელია ის წყარო ისევ იპოვნოს, რომელსაც დღემდე ეძებდა, და დანაკარგი ისევ შეავსოს. აჩქარებით აავსო განსმა უბრალო წყლით ბოთლი და ცოლს მიუტანა.

— ოჰ! როგორ აფხიზლებს და ამაგრებს ადამიანს! აქებდა გრეტა: შენც ჩაყლაპე, ჩემო სულიკო.

განსმაც ჩაჰყლაპა ერთი წვეთი წყალი და იმანაც შეაქო; ამის შემდეგ ყოველ კვირა დღეს თითო წვეთს ჰყლაპავდნენ, როგორც-კი ლოცვებს დარეკავდნენ ხოლმე. გრეტა მაისის ვარდივით იფურჩქნებოდა, განსი ნამდვილ ვაჟკაცად გამოიყურებოდა.

განსს ვერ გაებედნა ცოლს გამოსტყდომოდა, რაც შეემთხვა, და შემდეგისთვის ინახავდა ამ ამბავს, იმ მოსაზრებით, რომ დღეს-ხვალ ვიპოვნი ბედნიერების წყაროსაო.

ტყე მთლად შემოიარა, ყოველი კუთხე დაათვალიერა, მაგრამ ფერიის ბინა ვ ღარ იპოვნა.

წლები მიდიოდა. ვაჟიშვილის შემდეგ ქალი ეყოლათ, გრეტას ღაბაბს მეორეც მოემატა. თუმცა თითონ ვერა ჰხედავდა, რადგან სარკე არ იყო მაშინ; განსი-კი ამას კარგად ამჩნევდა, მაგრამ ერთხელაც არაფერი უთქვამს ამის შესახებ და თანდათან სიყვარული უორკეცდებოდა ცოლის მიმართ.

უბედურება დაატყდათ; გრეტა ასე ჰფიქრობდა.

ერთხელ, როდესაც სამზარეულოსა ჰგვიდა, პატარა ვაჟი, პეტრე, თამაშობის დროს რაფას დაეჯახა, რომელზედაც „იმ წყლით“ ბოთლი იდგა, ბოთლი გადმოვარდა და წყალი მთლად დაიღვარა.

— ოჰ, ღმერთო მწყალობელო! შესძახა დედამ: კიდევ კარგი, რომ განსი სახლში არ არის.

აკანკალებულის ხელებით ბოთლის ნამტვრევები აკრიბა და, სამაგიეროდ, სხვა ბოთლში ჩაასხა წყალი.

— ტყუილი, რასაკვირველია, მალე გამომჟღავნდება, გაიფიქრა მან: ამიტომ სამუდამოდ მშვიდობით ეხლა ახალგაზდობავ! მაინც გადასწყვიტა ამის შესახებ არაფერი ეთქვა ქმრისათვის.

დრო გადიოდა, ცოლ-ქმარი ისე თანხმობით სცხოვრობდნენ, როგორც პირველ ჯვრის დაწერის დღეს. ორივე სცდილობდა ერთმანეთისათვის დაეფარათ, რომ მათ ახალგაზდობა ჰშორდებოდათ და ყოველ კვირა უეჭველად თითო წვეთსა ჰყლაპავდნენ.

ერთ დღეს განსი თმას ივარცხნიდა და უცბად ხელში თეთრი თმა შერჩა: „ეხლა-კი, გაიფიქრა გულში, დროა სიმართლე ვუთხრა ცოლსაო“.

— გრეტა, კრძალვით მიჰმართა მან: მე მგონია, ჩვენმა წყალმა ძალა დაჰკარგა. აბა შემომხედე, თეთრი თმა ვიპოვნე. ვბერდები.

გრეტას შეეშინდა, მაგრამ მაშინვე გონს მოვიდა, თავი შეიმაგრა, ძალ-დატანებით ხმა-მაღლივ გაიცინა და თან დაუმატა:

— თეთრი თმა! მე თითონ მქონდა თეთრი თმა, როდესაც ისევ ათის წლის ყმაწვილი ვიყავი! ხშირად მოხდება ხოლმე ასე. შენ ეხლახან წვავი გასწმინდე, შესაძლებელია, თმას ქონი მოხვდა და წვავის ქონი-კი, ხომ იცი, ისეთის თვისებისაა, რომ მოხვდება თუ არა თმას, მაშინვე გაათეთრებს. არა, ჩემო სულიკო, წყალს ჯერ კიდევ თავისი ძალა არ დაუკარგავს, და თანაც წყენით გადაჰხედა ქმარს, იქნება ისე მატყობ, რომ მეცა ვბერდები?

განსის ჯერიც მოვიდა და ამანაც გადიხარხარა.

— შენა და სიბერე? ისე იფურჩქნები, როგორც მაისის ვარდი? თანაც ღონივრად მოჰხვია ხელები ცოლს და გადაჰკოცნა.

— მადლობა ღმერთს, მხიარულად წარმოსთქვა, როდესაც მარტოდ დარჩა: ის ვერ ამჩნევს, რომ ვბერდებით. ჩემთვის-კი ეს სულ ერთია.

გრეტაც ასევე ჰფიქრობდა.

იმ საღამოს მუსიკის ხმაზედ ახალგაზდობა სცეკვავდა და არც ერთი ქალ-ვაჟი ისე ცოცხლად და კარგად არა თამაშობდა, როგორც განსი და გრეტა.

სოფლის დედაკაცები, მართალია, იმათ შესახებ მწარედ ილიმებოდნენ, მაგრამ ისინი ისე იყვნენ გატაცებულები, რომ დაცინვას სრულიადაც ვერ ამჩნევდნენ.

ერთხელ შემოდგომაზედ, სადილობისას, გრეტა ქათმის ძვალსა სწუწნიდა და კბილი მოიტეხა, ეს დიდად სამწუხაროდ დარჩა, რადგანაც თეთრის კბილებით თავი მოსწონდა. როდესაც ცოლ-ქმარნი მარტოდ დარჩნენ, გრეტამ გაუბედავად დაიწყო:

არ მინდა სკოლა და აღარ დამეთხოვებით; ბაბასაც არ ესწავლებია ჩემთვის, მარა გონჯი შტრინკი ბიჭი ვარო!?... ვისაც უნდა, მან გააკეთოსო და ამ ყვირილში ისე გაცხარდა მეორე ყვიცი, რომ ხანჯალი ნახევრამდის ამოაპრიალა... ამ სცენაზედ ყველას სიცილი შესკდა. ამით გაბრაზებულმა ხმას უფრო უმატა და გაიძახდა: სანამ ზურგზედ მათრახს არ მიჭირებენ და ბოლს არ ამადენენ, ხელს არ მოვაწერ და არც მინდა კლასის რამეო. ეს სწავლა-განათლების შებრძოლი გმირი გახლდათ ო—რ ტ—ძე. რა-კი ამათ უარი სთქვეს, სხვებმაც აღარ ისურვეს და წინადადება მამა ბლაღოჩინისა უკუ აგდეს. ამ გვარ ადამიანებს ხელშია აცანის საზოგადოების ბედიღბალი და აბა კარგს რას უნდა მოელოდეს.

გ. ოფიშტიელი

# უცხოეთი

—

**ჩინეთი.** ამ რამდენისამე დღის წინად „რეიტერის სააგენტოს“ კორესპონდენტს ლაპარაკი ჰქონია პრინც ჩინთან და ლიხუნგ-ჩანგთან. კორესპონდენტი ჯერ ჩინთანა ყოფილა. იმედი მაქვსო, უთქვამს ჩინს, რომ მალე საქმე საკეთილოდ გათავდება, თუ, რასაკვირველია, სახელმწიფონი მეტ სისასტიკეს არ გამოიჩენენ პეკინში და კერძო კაცთა ქონებას არ დაეპატრონებიან. მე და ლი-ხუნგ-ჩანგი იმპერატორმა რწმუნებულებად დაგვნიშნა და დარწმუნებული იყავით, რომ სახელმწიფოების ყოველსავე მოთხოვნილებას დავაკმაყოფილებთ, ოღონდ-კი ეს მოთხოვნილება შეურაცმყოფელი არ იყოს ჩინეთისა, ან იმის გაყოფა-განაწილებას არ ესწრაფვოდესო.

რაც შეეხება ლი-ხუნგ-ჩანგს, ამ ეშმაკის დიპლომატისაგან კორესპონდენტმა თითქმის ვერაფერი გაიგო. იმის მაგიერ, რომ კითხვებზედ პასუხი მიეცა, თვით შეუდგა კორესპონდენტის გამოკითხვ ს და იმისაგან სხვა და-სხვა ამბების გაგებას.

— ჩინეთის რკინის გზათა დირექტორს მანდარინს შენს უთქვამს ერთის ინგლისურის გაზეთის კორესპონდენტისათვის: „იმპერატორი არასოდეს არ თანაუგრძნობდა უცხო-ქვეყნელთა წინააღმდეგ მოქმედებას. იგი სტიროდა, როდესაც წარუდგინეს ხელ-მოსაწერად ბრძანება, რომელშიაც უცხო-ქვეყნელთა ამოწყვეტა იყო ნაბრძანები. იმპერატორმა კაცი გაგზავნა ჩინთან ამის შესახებ მოსალაპარაკებლად, მაგრამ ვერც იმან უშველა რამ: იმპერატრიცის ბრძანებას იმპერატორმა ვერ გადაუხვია. საიდუმლო ბრძანებანი მაინც გაუგზავნა იმპერატორმა ვიცე-კოროლებს, რომლებშიაც ურჩევდა მათ, ნუ იმოქმედებთ უცხოქვეყნელთა წინააღმდეგ და ნუ მიემხრობით მოკრივეებსაო. ლი-ხუნგ-ჩანგმა სწორედ ამ საიდუმლო ბრძანების ძალით გაიუგვანა თავისი ჯარი მოკრივეთა წინააღმდეგ“.

— როგორც „Daily Graphic“-ი გადმოგვცემს, სახელმწიფოებს უკვე დაუწყიათ ერთმანეთში მოლაპარაკება ჩინეთის საქმეების გამო. ჯერ-ჯერობით გადაუწყვეტიათ: 1) სცნონ ლი-ხუნგ-ჩანგი ჩინეთის მთავრობის წარმომადგენლად; 2) დააწესონ ძლიერი მთავრობა ჩინეთში; 3) მოსთხოვონ ამ მთავრობას, რომ მან უჭრუნველ ჰყოს განსაცდელისაგან ჩინეთში მყოფი უცხოქვეყნელნი და მათი ქონება. ეხლა ლაპარაკი სახელმწიფოებს იმის შესახებ აქვთ, სად უნდა გამართოს მოლაპარაკება რწმუნებულთა შორისა.

**ინგლის - ტრანსვაალის ომი.** „Berliner Tag.“-ში ამ გაზეთის სამხედრო კორესპონდენტის საყურადღებო წერილია დაბეჭდილი. როგორც ამ წერილიდგან სჩანს, ომის დაწყებასას ინგლისს ტრანსვაალის საზღვართან 8,000 ჯარის კაცი და 20,000 თავისუფალი მეომარი ჰყოლია თავისის ზარბაზნებით. ამას გარდა ინგლისს გაუგზავნია: 7,271 ოფიცერი, 194,203 ჯარის-კაცი, 34,384 ცხენი, 110 მსწრაფლ-მსროლელი ზარბაზანი, 16 ალყის შემორტყმის დროს საჭირო ზარბაზანი, 6 სამთო ზარბაზანი და 358 ჩვეულებრივი ზარბაზანი. სულ ამ რიგად ინგლისმა ბურების წინააღმდეგ გაიყვანა 230,000 კაცი. კორესპონდენტის სიტყვით, ბურების ჯარი არასოდეს არ აღემატებოდა 50,000 კაცს.

# სოკო საჭმელი და სოკო შხამიანი

(მასალა ქართულ სოკოთა შესასწავლად)

თანაუგრძნობთ რა ბ-ნ ილია ალხაზიშვილის მოწოდებას (იხ. „ივერია“ № 125), დიდის სიამოვნებით ვგზავნი დასაბეჭდად შორაპნის მაზრის სოფლებში ჩემ მიერ შეკრებილ მასალას სოკოთა სამეფოს შესასწავლად.

აბედი — ხის სოკოა, წიფლის ხეზედ იცის ხშირად. მოთეთრო ფერისაა, დიდ ხანს სძლებს. მაგარია, ტალ-კვესზედ ჰხმარობენ ცეცხლის გასაჩენად.

ნოშიო — ამოდის ფოთლებში. ლუშის ფერისაა ზედა და ქვედა პირი. ურძოა, იჭმევა.

ჰეჰულა სოკო — ამოდის სიდაზედ. ზედა და ქვედა პირი მიხაკის ფერისა აქვს. შხამიანია.

ჯლავანა სოკო — ამოდის ტყეში. ზედა და ქვედა პირი წითელია. გული თეთრია. მწარეა. არ იჭმევა.

ძაღლი ვარყა — ამოდის ტყეში. სულ თეთრია. მაგარი და ძალიან მწარეა. შხამიანია.

ტყუპლიო — ამოდის მოჭრილის წიფლის ხეზედ. მოლუშო ფერისაა. უძმროდ არ იჭმევა. ძმრით გემრიელია.

ნიყვი — ამოდის ტყეში. ზედა პირი წითელია. გული მოყვითალო. ძალიან გემრიელია. იჭმევა. ნაძვის ნიყვი არ იჭმევა.

მგზავრა (იგივე თავჭედილა) — იზრდება მთა ადგილას გზის პირას. ზედა პირი მტრედის ფერია, ქვედა პირი მოშავო. ქართლში ეძახიან თავჭედილას, მისთვის რომ თავი ლურსმნებით მოჭედილს უგავს. არ იჭმევა.

ხრამუნა — მოთეთრო ზურგი აქვს, გული თეთრი. მწარეა. იჭმევა.

გერმუხა — ზედა და ქვედა პირი თეთრია მწარეა. ურძოა. იჭმევა.

კემუხტა — ამოდის ტყეში. ზედა და ქვედა პირი მტრედის ფერისაა. იზრდება პატარა. იჭმევა.

კვერცხის გულა — ზედა და ქვედა პირი ყვითელი აქვს. იჭმევა.

ფქვილუა — მუქი მოყვითალო ფერისაა. იფხვნება ფქვილივით. იჭმევა.

მანჭკვალა — იზრდება ყანებში. მოლუშო ფერისაა ზედა და ქვედა პირი. ახმობენ, ზამთარში ალბობენ და ისე აკეთებენ სხვა-და-სხვა საჭმელებს.

ღვინუა — ზედა პირი ღვინის ფერისაა. გული მოთეთროა. იჭმევა.

მტრედონა — ზედა პირი ლურჯის ფერისაა. გული თეთრია. იჭმევა.

ძერანო — ნიგვზის ხეზედ იცის. მოთეთრო ფერისაა. იჭმევა. შემწვარი და ძმარში ჩაყრილი ძალიან გემრიელია.

შავ-ჩოხა — შავი ზურგი აქვს, თეთრი პირი, მწარეა. იჭმევა.

ხახვილო — ზედა პირი ლურჯი ფერისაა, ქვედა პირი თეთრი. იჭმევა.

დედაბერა-სოკო — ზედა და ქვედა პირი მიხაკის ფერისაა. ყველა სოკოზედ მსხვილი იზრდება. ფეხიც მსხვილი აქვს. შხამიანია.

ქვეყნის-გულა — იზრდება მთაში. მრგვალი სოკოა. ზედა და ქვედა პირი თეთრია. წამლად ჰხმარობენ.

წიფლუა — ზედა პირი წითელია. გული თეთრი. იჭმევა.

ტურის-სოკო — ზედა პირი სქელი აქვს, მუქი ყვითელის ფერისაა. ყველა სოკოზედ დიდი იზრდება. შხამიანია.

ქამა სოკო — ზედა პირი თეთრი აქვს. გული მიხაკის ფერისაა. პატარა იზრდება. იჭმევა.

ჩობაყო — სიდაზედ იზრდება. ზედა პირი თეთრი აქვს, ქვედა შავი. იჭმევა.

ვარყა — თეთრი სოკოა. მწარეა. რძიანია. იჭმევა.

წერესწო — მიხაკის ფერი გული აქვს, რუხი ზურგი. ზურგზედ გეგონებათ ფერფლი აყრიაო. მაღალი ფეხი იცის. იჭმევა.

გუდაფშუტა — ზედა და ქვედა პირი თეთრია. მრგვალი სოკოა. ძალიან პატარაა. დაჭრილს აყრიან ჭრილობაზედ წამლად.

მჭადო — ზედა პირი ყვითელია, გული თეთრი. რძიანია. იჭმევა.

სოსიკო კვალითელი

# ქართულის ენის საუნჯის მასალად

(შემდეგი *)

ლ.

ლაქა — ცხენ. სენი. უბანლო ადგილები გაუწითლდება და დაუსივდება, წვრილად დაჰყრის და ექავება.

ლახიწი — ძალიან გამხდარი ცხოველი.

ლენჩი — გაუგებარი, უსიცოცხლო კაცი, ბოთე.

ლეკია (ლეკ-მარხილა) — ციგა, პატარა მარხილი.

ლიბანი — მეტად მაღალი და სწორე ხე, ტანზედ უტოტებო.

ლიანგი — აუარებელი, ურიცხვი.

ლიპი — რიყე, მდინარის ქვა.

ლიყაანი — ენა ბრგვილი (იმერ.)

ლოტნარი — იხ. ლიბანი.

ლორწკი — დუჟი, ნერწყვი.

ლორწამი — საქვაბის ჩამოსაკიდი დირე.

მ.

მანჩა — ბედლის თვალი.

მარიფათი — ხიმარჯვე, მოხერხება.

მაღალი სამხრობა — 3—4 საათი ნაშუადღევისა.

მარილიანი სახე — სანდომიანი, მოხდენილი სახე.

მიქლიო — სოკოა.

მონავარი — ძლიერი, დაუზოგავი, ამაოხრებელი.

მოღნეშვა — მოუძლურება სიცხით, ან ავადმყოფობით.

მოყურყუტება — უსაქმოდ და უაზროდ სიარული.

მუყაითი — ბეჯითი.

მურგვი — იხ. გრიპი.

ნ.

ნაკლოვანი — მოსულელო, ჭკუა ნაკლები.

ნიდო — ცხენის კისრის დასასრული, ბე-

*) იხ. „ივერია“ № 196.

---

— ასეთი უბედურება არ მომივიდოდა, წყალს რომ...

მაგრამ განსმა იქვე გააწყვეტინა:

— წყალი აქ რა შუაშია? განა არ მოხდება ხოლმე, რომ ყმაწვილს კაკალი ჩაუდვია პირში დასამტვრევად და უცბად კბილი მოსტეხია. რას ერჩი საუცხოო წყალს? ჯან-მრთელი არა ხარ განა და ლოქლაქი არ გაგიდის? იქნება თვალი ვიზედმე შეგივარდა, რომ წყლის ძალა აღარა გჯერა?!

გრეტას გაეცინა, თვალებიდგან ცრემლები მოიწმინდა ‑ მოხუცი გულში ჩაიკრა. სადილის შემდეგ სახლის წინ ტახტზედ ჩამოსხდნენ და ნამდვილ სიყვარულის შესახებ სიმღერა დაიწყეს; გამვლელ-გამომვლელები ამბობდნენ: „რა ტუტუცი მოხუცებულები არიანო!“

მაგრამ ისინი ამას ვერ ამჩნევდნენ. ასე განვლო რამდენმამე წელმა. სახლს ახალგაზდობა თან-და-თან ემატებოდა; შვილები წავიდ-წამოვიდნენ, დაცოლშვილიანდნენ, ქალები გათხოვდნენ; მოხუცებულები ისევ მარტოდ დარჩნენ და ერთმანეთი ისე უყვარდათ, როგორც ქორწილის პირველ დღეს; აუცილებლივ ყოველ კვირა, როგორც-კი დაირეკებოდა ეკკლესიის ზარი, თითო წვეთ წყალსა ჰყლაპავდნენ ძვირფასის ბოთლიდგან.

ერთ ზაფხულის დღეს, საღამო ხანს, როდესაც „მზე ზამთრისკენ დაბრუნებას იწყებს“, განსი და გრეტა სახლის წინ ტახტზედ ისხდნენ და ცეცხლის ალს გასცქეროდნენ, რომელიც მთიდგან მოსჩანდა. მთიდგანვე სიცილ-ხარხარი მოისმოდა ახალგაზდა ქალებისა და ხანდახან, წყვილ-წყვილად ცეცხლზედ ჰხტებოდნენ.

— განს, ჩემო სულიკო, უთხრა გრეტამ: კარგი იქმნება, რომ ტყეში წავიდეთ. თუ გინდა ხვალ დილით წავიდეთ, მხოლოდ თავის დროს-კი გამომაღვიძე: ეხლა დიდ-გულა ჰყვავის, და ამ დროს ახალგაზდა ქალებს დიდხანს სძინავთ ხოლმე.

განსი დაეთანხმა. მეორე დღეს ცოლი გამოაღვიძა და ორივემ ტყისკენ გასწიეს. შეყვარებულსავით ხელი-ხელს გაყრილნი მიდიოდნენ და ერთმანეთის ყოველ ნაბიჯის გადადგმას თვალს ადევნებდნენ.

როდესაც მორიდებით გადააბიჯებდა ხოლმე განსი ხის ტოტს, გრეტა ეტყოდა ხოლმე: უჰ, განს, როგორც თხა, ისე ხტუნავო! როცა გრეტა პატარა ჯურღმულების წინ დარცხვენით შეჩერდებოდა ხოლმე, განსი ღიმილით ეუბნებოდა: აგრე, გრეტხენ, აგრე! კაბა შემოიკალთავე და გადახტი! ტყეში შევიდნენ თუ არა, ძველი ნაძვის ქვეშ დასხდნენ და ისაუზმეს იმ საჭმლით, რომელიც გრეტას თან ჰქონდა წაღებული.

აი ამ ადგილას, უთხრა განსმა: გვნახა ფერიამ მაშინ და აი იქ უნდა იყოს ის ვაკე ადგილი და ახალგაზრდობის წყარო. თუმცა ბევრს ხანს ვეძებე, ვერსად ვიპოვე, ვერც ვაკე ადგილი, ვერც წყარო.

— მადლობა ღმერთს, ანკი რა საჭიროა, აჩქარებით დაუმატა გრეტამ: ჩვენ კიდევ ბევრხანს გვეყოფა ჩვენი ბოთლის წყალი!

— მართალია, მართალი, გაიმეორა განსმა. — მაგრამ გულით მინდა მაინც ფერიის ნახვა, რომ მადლობა გარდაუხადო ჩვენის ბედნიერებისათვის. წავიდეთ, მოვძებნოთ: შესაძლებელია ვიპოვოთ.

ადგნენ და საძებნელად წავიდნენ. დიდხანს არ გაუვლია, რომ მათ წინ მზის სხივებით ოქროს ფერად მობრჭყვრიალე ტბა გამოჩნდა. ბალახებში ჰყვაოდა შროშანა და ია, ნარგიზი, რომლებზედაც ცელქათ ჭრელი პეპლები დანავარდობდნენ; ცოტა იქით, როგორც პირველად, განმარტოვებული ქოხი იდგა. გულის ფანცქალით მოუარეს მეორე მხარეს და ბედნიერების წყარო ნახეს, როგორც წინადაც, მის სარკესეებ მოლაპლაპე პირზედ ჭრელი კალიები დაცურავდნენ. განსი და გრეტა ხელი-ხელ ჩაკიდულნი წყალს დააცქერდნენ, — იქიდგან ორი გაჭაღარავებული სახე გამოჩნდა, ცოტად დანაოჭებული. თვალებიდგან ჩუხჩუხით ცრემლები გადმოსკდათ და გულამოსკვნით სტიროდნენ; ერთმანეთს გამოუტყდნენ თავიანთ ცოდვას; კარგა დრომ გაიარა, ვიდრე გაიგებდნენ, რომ ისინი სიყვარულით ერთმანეთს ატყუებდნენ.

— მაშ იცოდი, რომ ჩვენ ორნივენი მოვხუცდით? მხიარულად ეკითხებოდა განსი.

— რასაკვირველია, რასაკვირველია! ცრემლებ მორეული ეუბნებოდა გრეტა სიცილით.

— მეც ვიცოდი, გახარებული ამბობდა განსი და ამ სიტყვებთან ერთად უნდოდა შემხტარიყო, მაგრამ ვერ მოახერხა. შემდეგ ორისავე ხელით მიიზიდა ცოლის სახე და გადაჰკოცნა ისეთ ნაირად, როგორც პირველ დღეს, როცა შერთვის პირობა მისცა.

უცბად იმათ, თითქოს ზეციდგან, ფერია მოევლინათ.

— მშვიდობა თქვენდა! წაილაპარაკა ფერიამ: დიდი ხანია ჩემთან აღარა ყოფილხართ. თუმცაო, განაგრძო მან თითის ქნევით, ფრთხილად არ მოჰქცევიხართ წყალს. რას ნიშნავს ჭაღარა თმა და სახის ნაოჭები. ოჰ, ოჰ, ოჰ! მაგრამ მაგას საშუალება აქვს, გამამხნევებელი კილოთი დაუმატა იმან: თქვენ სწორედ კარგ დროს მოხვედით. ბედნიერების წყალში ჩახტით, წყალი ღრმა არ არის, ჩაიყურყუმელავეთ ცოტა ხანს და სასწაულს ჰნახავთ: ახალგაზდობა და სილამაზე დაგიბრუნდებათ. მაგრამ, ჩქარა, ჩქარა, ვიდრე მზე ჩაიწურება! განსმა და გრეტამ ერთმანეთს შეჰხედეს.

— გსურს? გაუბედავად შეეკითხა განსი.

— არას გზით! აჩქარებით უთხრა გრეტამ: შენ რომ იცოდე, რანაირად მიხარიან, რომ მოხუცებული ვარ; ამასთანავე კარგი არ არის შვილების, შვილიშვილების წინაშე...

არა, არა, ძვირფასო ფერიავ, ათასჯერ მადლობას გიძღვნით შენის სიკეთისათვის, ჩვენ ისევ ასე დავრჩებით, მოხუცებულებად. არა, განს?

— ჰო, ჰო, რასაკვირველია! ეჰ, რომ იცოდე, როგორ გიხდება ჭაღარა თმა!

— როგორც გნებავთო, უთხრა ფერიამ ცოტა წყენით: — ძალას არ დაგატანთ.

უთხრა თუ არა, აჩქარებით გასწია თავისის ქოხისაკენ და კარები ჩაიკეტა. მოხუცებულებმა-კი ერთმანეთს ისევ კოცნა დაუწყეს. შემდეგ მკლავი-მკლავს გაყრილებმა გასწიეს ტყით სახლისკენ... და ჩამავალის მზის სხივები იმათს ჭაღარა თმას აბრწყინვალებდა.

ალ. საათაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქების შესაყარი. რუსულად—ხოლკა, საბა ორბელიანი ჯიდაოს უწოდებს; მგონი შეცდომა უნდა იყოს. იხ. ქვემოდ ჯიდაო.

**Ობროდი**—ჩერჩეტი.

**Ორპიორა**—ჭოჭინა, ბავშვებისათვის აკეთებენ, რომ ფეხი აიდგას. გოგრებზეა მოწყობილი.

**Ორტოლი**—(სამ-ტოლი) ორ-მაგი, სამ-მაგი.

**Ორფა**—(სამ-ფა) ორ-კეცი, სამ-კეცი.

პ.

**Პანა**—ქონი.

**Პირ-მოხეული ბარათი**—ენა ჭარტალა, ჭორიკანა.

**Პრაწვა**—თვალების ბრიალი.

**Პრაკა-პრუკი**—მაგარ საგანზედ სიარულის ხმა.

**Პიწკი**—მომეტებული სიფრთხილით რისამე შეხება ასაღებად.

**Პურჭყი**—ფურთხი.

**Პუწკვა**—მორცხვობა.

ჟ.

**Ჟაპუნი**—დიდის წვიმის დენა.

რ.

**Რეში**—დიდი წვიმა; თავსხმა.

**Როკაპი** / **როქაფი** — მძლავრი და ავი დედა-კაცი სახოკია სარდალ-დედაკაცს უწოდებს.

ს

**Საზღო**—ცარიელი ალაგი თავლაში ნაგვის ჩასახვეტად.

**Სანსვლა**—სიჩქარით ჭამა.

**Სამატი**—დაგრეხილი თასმა, რომლითაც ურემს უღელზედ ამაგრებენ.

**Სამჭიდობელი**—გრძელი და მოდრეკილი ჭოგრი, რომლითაც საძნე ურემს დააკრავენ, ძნა არ დაიშალოსო.

**Საქარი**—გრძელი ჭოგრი, რომელსაც პურის ნიავობის დროს ჰხმარობენ, რომ პური ბზეს არ გაჰყვეს.

**Სალ-სალამათი**—სრულიად სალი.

**Საჭყეპელი**—спринцовка; ოყნა კიდევ სხვაა.

**Საყუდი**— / **საწნური**— ირწევანი (იხ. ზემოდ)—გრძელი ხეა, რომელსაც ცალის თავით შეუდებენ იმ საგანს, რომლის აწევაც უნდათ; იმ თავთანვე ახლოს ძირს დაუდებენ რამე მაგარს (ქვას, ხეს) და შემდეგ მეორე თავს ძირს დასწევენ; ამ გვარად ძალიან დიდი და მძიმე საგნების აწევა შეიძლება სულ მცირე ძალით; საყუდი ან საწნური იმ ქვასა, ან ხესა ჰქვიან, რომელსაც ძირ უდებენ ირწევანს; რუს. точка опоры (იმერ.)

**Საწკვერტი**—უნაგირს წინა, ან უკანა ტახტაზედ აქვს თავისუფალი თასმები, რომლითაც შეიძლება კაცმა მიაკრას ხურჯინი, ნაბადი და სხვ. ბაგაშვილს საწყვეტი აქვს ნახმარი. (იმერ.).

**Საფაფური**—სახლის სახურავსა და კედელს შუა ცალიერი ადგილი.

**Სინდიოფალა**—გარეული ცხოველია, ვირთაგვას ოდენი, თეთრ-წითლად ჭრელი; წიწილების მტერია.

**Სურუხი**—სხვილი ჯოხი, კეტი.

**Სურსნელი**—ავადმყოფ. დაჰყრის კაცსა და თუ დროზედ არ უწამლა, შეიძლება ცხვირი, ყურები, ან ტუჩები სრულიად მოაძროს.

**Სხარტი**—კანტი, წვრილი ტანადი.

**Სლიკინი**—ძოლიპულ რაზედმე ცურვა.

**Სულ-ხავი**—სულ-წასული, მოუთმენარი, გაუმაძღარი.

**Სასმური**—სასასმო, სასმისი (იმერ.) სმური ლექსით შექებაა სუფრაზე და მაშასადამე თ. სახოკიას კაფია ანაზდეულს უნდა უდრიდეს, ე. ი. ექსპრომტს.

**Სმური**—სადღეგრძელო (ა. ყაზბეგი.)

ტ.

**Ტაფა**—ბუხრის ძირა ქვა, რომელზედაც ცეცხლი ინთება.

**Ტახტი**—უნაგირის წინა და უკანა ამაღლებული ნაწილები.

**Ტიფსი**—წვრილი რამე.

**Ტიხარი**—თუ შენობის დაყოფა ჰსურთ, ახალ კედლებს ამოიყვანენ შენობაშივე და მას ეწოდება ტიხარი.

**Ტინტილი**—ტანტალი (იმერ.)

**Ტლიკინი**—სრიალი, სლიკინი.

**Ტმასვნა**—მჭიდროდ ხელის ჩახვევა, ან მაგრად შემოხვევა.

**Ტოქი**—ყინი, ჯიბრი.

**Ტრიამელი**—თვალ-უწვდენელი გაშლილი ადგილი.

**Ტუაფე**—გორაკებით გარემოცული ადგილი (რუს. котловина).

ნ. ა.

(შემდეგი იქნება)

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრეფილი ამბები)

ამ დღეებში პარიჟში განიხილავენ მეტად საყურადღებო საქმეს, საიდგანაც სჩანს, თუ რა ძალა აქვს ჰიპნოტიზმს. ეხლა ყველამ უწყის, რომ ჰიპნოტიზმის შემწეობით შეიძლება ერთმა კაცმა მეორეს, რაც უნდა, ის ჩაადენინოს. ზემოხსენებული საქმე იმითია საინტერესო, რომ ერთ კაცს მეორეზედ წერილის შემწეობით უმოქმედნია ბერლინიდგან პარიჟში. ამ რამდენისამე წლის წინად ერთ სავაჭრო კანტორაში მოსამსახურეს, ვინმე ლუი ვიქტორ დიურანს, ახალგაზრდა ლამაზი ქალი შეურთავს ცოლად. დიურანი მშრომელი, მუყაითი კაცი იყო, ყოველ დღე თავის დროზედ მიდიოდა სამსახურში, არა სვამდა, ბანქოს არ თამაშობდა და წარა-მარა, უქმად ხეტიალიც არ უყვარდა. ასე ატარებდა ცხოვრებას დიურანი, რომ მოულოდნელად ნერვების ავადმყოფობა დასჩემდა: უმიზეზოდ იცინოდა, თავისს თავს ელაპარაკებოდა, ხან ძალზედ აღელვდებოდა ხოლმე, ასტრანომიასა და უმაღლესს მათემატიკას მიჰყო ხელი; ამას გარდა ხშირად ჭამა-სმას ივიწყებდა და მთელი საათობით უაზროდ დაეხეტებოდა. 1897 წელს ეს ავადმყოფობა ისე გაუძლიერდა, რომ ცოლმა დიურანი სალპეტრიერში მოათავსა, სადაც მკურნალებმა გასინჯეს და სთქვეს, რომ „ისტერიული ხეტიალი“ აქვსო. დიურანი ჩვეულებრივ ჩქარის ნაბიჯით დადიოდა ხოლმე პარიჟის ქუჩებსა და მოედნებზედ, მთელი ღამე ივლიდა ასე და დილით ქალაქს გარედ, სადმე უცნობ ადგილას ნახავდნენ ხოლმე. როდესაც გონს მოდიოდა, წყნარად, მშვიდობიანად შინა ბრუნდებოდა. დიურანის ცოლმა, რომელსაც ცოტაოდენი ფული ჰქონდა შავის დღისათვის გადადებული, გადასწყვიტა ავადმყოფის ბერლინში წაყვანა ერთ გამოჩენილ სპეციალისტთან, რომელიც ამ გვარ ავადმყოფთ შთაგონებით არჩენს. მკურნალმა მართლაც მოარჩინა ავადმყოფი. დიურანი იმდენად კარგად გახდა, რომ პარიჟში დაბრუნდა, ერთ სავაჭრო დაწესებულებაში კასირის ადგილი იშოვნა და ძველებურად მიჰყო ხელი საქმეს. მაგრამ ორის თუ სამის თვის შემდეგ ძველმა „ხეტიალმა“ ხელ ახლა მოუარა დიურანს. მთელი დღე და ღამე დიურანი ქალაქში ან ქალაქს გარედ დაეხეტებოდა. ძილი სულ არ შეეძლო საწყალს. „თქვენი შიში, რომ შეიძლება ჩემ ქმარს ავადმყოფობა დაუბრუნდეს, გამართლდა“, სწერდა ქ-ნი დიურანი მკურნალს ბერლინში. მესამე დღეს მკურნალმა თვით დიურანს მისწერა წერილი, რომელშიაც მხოლოდ ეს სიტყვები იყო: „გამარჯვება! როგორა სცხოვრობთ? იმედი მაქვს, რომ კარგად იქმნებით. დაიძინეთ ამ წერილის მიღებისათანავე; მე გიბრძანებთ, რომ დაიძინოთ“. ცოლმა გადასცა წერილი, ქმარმა წაიკითხა, მაშინვე წამოწვა და რამდენისამე კვირის უძილომ მადლიანი ხვრინვა ამოუშვა. გავიდა რამდენიმე დღე. დიურანი მუშაობას შეუდგა, მაგრამ მოულოდნელად კასიდგან 4,000 ფრანკი მოიპარა და ხელ-ახლა დაიწყო „ხეტიალი“. რამდენისამე დღის შემდეგ ცოლმა ქმრისაგან ასეთი დეპეშა მიიღო: „ფრუარდში ვარ, არ ვიცი-კი რადა. ვიქტორი“. ფრუარდი საფრანგეთის და გერმანიის საზღვარზედაა. ავადმყოფს ფეხით გაევლო სამასი კილომეტრი და მხოლოდ ამ ქალაქში მოსულიყო გონს. როდესაც პარიჟში ჩავიდა, დააპატიმრეს და სულით ავადმყოფთა სახლში ჩასვეს. საწყალს არც იქ ეძინებოდა. მაშინ ადგნენ და ხელ ახლა აჩვენეს მკურნალის წერილი. დიურანს მაშინვე დაეძინა. ამის შემდეგ ყოველთვის ამ წერილის შემწეობით აძინებდნენ ხოლმე. სასამართლოში ქურდობის საქმე ჯერ არ განხილულა, მაგრამ ვექილებმა და მკურნალებმა ლაპარაკი აღძრეს იმის შესახებ, დიურანი პასუხისმგებელია თუ არა ქურდობაში, რადგანაც ეს ქურდობა ავადმყოფობის დროს ჩაიდინა.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

11 სექტემბერი

**ᲞᲔᲙᲘᲜᲘ.** პრინცმა ცინმა უცხო ელჩების უხუცესს წერილი გაუგზავნა. წერილში აცნობებს ცინი, რომ ლიხუნგ-ჩანგი მალე ჩამოვაო და სთხოვს, რომ თათბირი ცუნგ-ლი-იამენში იქმნეს დანიშნული. იმპერატორის ბრძანების თანახმად, რომელიც ლიხუნგ-ჩანგის სურვილისამებრ იქმნა გამოქვეყნებული, იუნლუ პეკინში დაბრუნდება, რომ მშვიდობიანს მოლაპარაკებაში მონაწილეობა მიიღოს, თუმცა იუნლუ ადრევე წარუდგინეს უცხოელ ელჩებს, რომ იგი მშვიდობიან მოლაპარაკების საქმეში კომისსარად ყოფილიყო დანიშნული, მაგრამ იგი უარ-ჰყვეს.

**ᲨᲐᲜᲰᲐᲘ.** შანჰაიში ახალის ტაოტაის დანიშვნისა გამო, რომელიც უცხოელების მიმართ თავისს სიძულვილს არა ჰფარავდა, ბრიტანიისა და საფრანგეთის კონსულებმა წინააღმდეგობა განაცხადეს. დამამტკიცებელ საბუთების რიცხვი დღითი-დღე მატულობს, რომ ჩინელები მოკავშირე სახელმწიფოთა მოთხოვნილებას არ აასრულებენ, თუ რომ სახელმწიფონი უცხოელთა წინააღმდეგ მოძრაობის დამწყებთა ხელში მიცემასა და ქვრივის იმპერატრიცას განდევნას მოითხოვენ.

**ᲚᲝᲠᲔᲜᲪᲝ-ᲛᲐᲠᲙᲔᲖᲘ.** ინგლისელებმა კომატიპორტი ისე დაიჭირეს, რომ წინააღმდეგობა არავის გაუწევია. ხიდი დაზიანებულია. ბურები საზღვარს გადვიდნენ და თავისის იარაღითა და სურსათით პორტუგალელებს დაჰნებდნენ.

**ᲨᲐᲜᲰᲐᲘ.** უცხო სახელმწიფოთა შეხედულების თვალ-საჩინოდ შეურაცხ-საყოფელად ჩინეთის მთავრობამ დიდის საბჭოს თავმჯდომარედ დანიშნა ტუანი, ჩრდილო ჩინეთის ჯარების მთავარ სარდლად—ტუნფუნციანი, ცზიანსის პროვინციის მთავარ-მოსამართლედ—შანხაის ტაოტაი, „დიდის მუშტის“ უფროს წინამძღოლის მოადგილე პრინცი ჯანი—დიდის საბჭოს წევრადა.

**ᲕᲔᲜᲐ.** სპარსეთის შაჰი ბუდა-პეშტში წავიდა.

**ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ.** „Standard“-ი სწერს; „ადვილი მოსალოდნელია შეერთებულ შტატების ყოფა-ქცევამ მოკავშირე სახელმწიფოებზედ ისეთი გავლენა იქონიოს, რომ ერთ-ურთთ შორის ზნეობრივი თანხმობა და კავშირი შესუსტდეს. ყველა თანახმაა, რომ მოკავშირეთა მოქმედებისა და აზრის სხვა-და-სხვაობა ჩინელებს მხოლოდ გაამხნევებს და წააქეზებს, ამის გამო შეერთებულ შტატების მდგომარეობა ღირსია სინანულისაო. ჩვენ კარგად ვაფასებთ, რომ არჩევნების დროს მაკ-კინლეის დიდი დაბრკოლება აღმოუჩნდებოდა, მაგრამ ქვეყანამ, რომელიც დიდის სახელმწიფოს სახელს ატარებს, უპირველეს ყოვლისა უნდა შეითვისოს ის, რომ შინაური პოლიტიკა გარეშე საქმეთა მოვალეობას არ უნდა ეხებოდესო“.

**ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ.** გამოქვეყნდა 6 სექტემბერს ტაკუდგან მოსული დეპეშა, რომ ტატინფუსა და სუპენფუში, პეკინიდგან დასავლეთით, ყველა მისსიონერები დაუხოცნიათო.

**ᲨᲐᲜᲮᲐᲘ.** შენგი ამბობს, რომ პრინცი ტუანი იმპერატორის მთავარ მდივნად იქმნა დანიშნულიო, რის გამოც იმპერატორისადმი მიმართული და მისგან გამომავალი საქმეები პირდაპირ ტუანის კანტროლს ქვეშ იქნებაო.

**ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ.** ჩინეთის ელჩს ვუტინფანს არ სჯერა, რომ პრინცის ტუანის დანიშვნა ნამდვილი იყოს.

12 სექტემბერი.

**ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ.** საბერძნეთის პრინცი ნიკოლოოზი ელლინთა მეფის ნევის ქვეითა ჯარის რაზმში იქმნა ჩარიცხული პოდპოლკოვნიკად.

პოლკოვნიკი ფონ-მინკვიცი ნიულანდის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებლად იქმნა დანიშნული.

**ᲞᲔᲙᲘᲜᲘ.** ყველა ელჩები აქ არიან ჯერ.

**ᲚᲝᲠᲔᲜᲪᲝ-ᲛᲐᲠᲙᲔᲖᲘ.** იმ ბურების რიცხვი, რომელნიც პორტუგალელებს დამორჩილდნენ საზღვარზედ, სულ 3,000-ია. დამორჩილებულნი პორტუგალელთა მეთვალყურეობის ქვეშ არიან.

**ᲢᲐᲙᲣ.** რუსებმა ლუტაის სიმაგრე დაიჭირეს.

**ᲑᲣᲓᲐ-ᲞᲔᲨᲢᲘ.** სპარსეთის შახი ჩამოვიდა.

**ᲝᲓᲔᲡᲡᲐ.** 6 ოქტომბერს აქედგან ალექსანდრიაში წასული რუსეთის საზოგადოების გემი „როსტოვი“ ღამით 10 სექტემბერს მარმარილოს ზღვაში საფრანგეთის სამგზავრო საქონლის გემს „Georgie“-ს დაეჯახა რომელიც მაშინვე დასძირა. „როსტოვს“ ქიმი საშინლად დაუზიანდა; გემი მახლობელს ნავთსადგურში მიიტანეს,

## განცხადებანი


ერიდეთ! არ მოსტყუვდეთ!!

ჰიგიენური

ბორნო-ცვიმოლის საპონი

პროვიზორის

გ. ფ. იურგენსისა

აქრობს ჭორფლს, ნასიცხს ყვითელს ლაქებს და სპობს ოფლს. ვურჩევთ, როგორც კეთილ-სუნნელოვანი და მაღალის ხარისხისა, ეს საპონი იხმარონ.

ოქროს მედალი. ლონდონი 1893 წ.

ფასი თითო ნაჭერისა 50 კაპ., ½ ნაჭერი 30 კაპ.

იყიდება რუსეთის ყველა საუკეთესო სააფთიაქო მაღაზიებსა და აფთიაქებში.

უმთავრესი საწყობები გ. ფ. იურგენსთან მოსკოვში. ю. (48—6.—22)



წინამძღვრიანთ-კარის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლისაგან

პირველ სექტემბრიდამ პირველ ოქტომბრამდე ამა წლისა წინამძღვრიანთ-კარის სასოფლო სამეურნეო სკოლაში მიიღებიან ჯანმრთელი ყმაწვილები, არა ნაკლებ ათის წლისა, ყველა წოდებისა, ეროვნებისა და სარწმუნოებისა.

ვისაც სურვილი აქვს სკოლაში ყმაწვილი მიაბაროს, იმან უნდა პირად, ანუ წერილით განუცხადოს თავისი სურვილი სკოლის მმართველს, ანუ მზრუნველს ილია ივანეს ძეს წინამძღვრიშვილს (ნოტარიუსი ქალაქ ტფილისში), წარმოადგინოს ყმაწვილის წლოვანების მოწმობა, სინოდის კანტორიდგან მიღებული, ან მღვდლისაგან მიცემული აღმოწერილობა წლოვანების წიგნიდგან, და იმ სკოლის მოწმობა, სადაც ბავშვს უწინ უსწავლია. გამოცდა ყმაწვილებისა მოსამზადებელ კლასის პირველ განყოფილებაში არ იქნება. მხოლოდ ვინც მოსამზადებელ კლასის დანარჩენ განყოფილებაში შესვლას მოინდომებს, იმას უნდა ჰქონდეს შესაფერი მომზადება და სწავლა.

სასწავლო სკოლის კურსს შეადგენს; 1) საღმრთო წერილი, 2) ქართული და რუსული ენები, 3) არითმეტიკა და პრაქტიკული გეომეტრია, 4) სამშობლოს შესწავლა, მოკლე გეოგრაფია რუსეთისა და საზოგადო მიმოხილვა ქვეყნებისა, 5) ბუნების მეცნიერება, 6) სამეურნეო საგნები: მიწის შემუშავება, მებაღობა, მებოსტნობა, ვაზის მოვლა-მოშენება, ღვინის დაყენება, საქონლისა და აბრეშუმის ჭიის მოვლა მოშენება, მეფუტკრეობა და სასოფლო მეურნეობის ანგარიშის ცოდნა, 7) ხატვა, 8) საეკკლესიო და საერო გალობა, 9) სწავლა ხელოსნობისა: დურგლობისა, მჭედლობისა და ჩილინგრობისა (ზლესარობისა).

სკოლაში ყმაწვილები უსასყიდლოდ მიიღებენ სწავლას და ყველა სასწავლო ნივთებს, მხოლოდ დედმამამ, ანუ იმათმა მოადგილემ უნდა ყმაწვილს სოფელში ბინა უშოვოს, ჩააცვას და დახუროს.

შორის მხრიდგან მოყვანილ ყმაწვილებისათვის სოფ. წინამძღვრიანთ-კარში გამართულია სკოლის ხარჯით 30 შეგირდისათვის სადგური. ყველა საქმეს ამ სადგურისას თვით სკოლის კრება განაგებს. თითო შეგირდის შესანახავად დანიშნულია თვეში შვიდი მანეთი. ყმაწვილს დილა-საღამოს მიეცემა სტაქანი ჩაი, ანუ რძე პურით და სწავლის შემდეგ სადილი, ორი კერძი: ხსნილში სახსნილო და მარხვაში სამარხვო. კვირაში ერთხელ ყმაწვილებს საცვალი გამოეცვლებათ.

ვისაც სურს მიაბაროს ყმაწვილი სკოლის სადგურში, იმან უნდა წარმოადგინოს წინათ მთელი წლის შესანახი ფული 84 მანეთი; უკეთუ შეგირდი წლის შესრულებამდე სადგურიდგან გავიდა, მაშინ ეს ფული უკან იმათ დედ მამას აღარ დაუბრუნებათ და დარჩება სადგურის სასარგებლოდ.

ყმაწვილს უნდა ჰქონდეს რკინის საწოლი, ქვეშაგები, ექვსი ხელი საცვალი, პირსახოცები, ბალიშის პირები, ზეწრები და სამი ხელი სკოლისათვის დაწესებული ტანსაცმელი: ერთი საზამთრო და ორი საზაფხულო.